ევროკავშირი საქართველოსთვის

CPR PROJECT
Care Prevention Rights

BEMONI PUBLIC UNION

უსაფრთხო საკლუბო ცხოვრება

ფსიქოაქტიური ნივთიერებების ერთდროული მოხმარება

დეპრესანტი + სტიმულანტი

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მომზადებულია საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონში“

დეპრესანტი + სტიმულანტი

დეპრესანტისა და სტიმულანტის ერთდროული მიღება ორგანიზმზე დამატებით დატვირთვას იწვევს. ერთი ცდილობს, დათრგუნოს ადამიანის თავის ტვინი და სხეული, ხოლო მეორე - გააქტივოს (ანტაგონისტური ეფექტები). ასეთ შემთხვევაში, დეპრესანტების ეფექტები ნიღბავს სტიმულანტების ეფექტებს, შედეგად, თრობის სასურველი ეფექტის მისაღებად ადამიანი ზრდის მოხმარებული ნივთიერებების დოზებს და ზედოზირების რისკის წინაშე დგება.

ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულანტები - ნივთიერებები, რომლებსაც ახასიათებს გამააქტივებელი, მასტიმულირებელი მოქმედება ადამიანის თავის ტვინსა და სხეულზე (კოკაინი, ამფეტამინი, მეთამფეტამინი).

ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები - ნივთიერებები, რომლებიც თრგუნავენ ადამიანის თავის ტვინისა და სხეულის აქტივობას (ალკოჰოლი, საძილე და დამამშვიდებები საშუალებები, ოპიოიდები, ინჰალანტები).